

04 | გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებები

მტკიცებულებები
გარემოსდაცვით
საქმეებში



გარემოსდაცვითი სამართალწარმოების დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზეც უნდა დადგინდეს, მაგალითად, გარემოსდაცვითი ზიანის არსებობა, მისი მასშტაბი და ხასიათი, მიზეზშედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. წინამდებარე ცხრილის სახით მოცემულია მტკიცებულებათა ის სახეები, რომელთა გამოყენებაც შესაძლოა, საჭირო გახდეს გარემოსდაცვით საქმეებში.

სახე	მტკიცებულება	მაგალითი
დოკუმენტაცია	სხვადასხვა სამართლებრივი, სოციალური, მეცნიერული ხასიათის დოკუმენტი	სკრინინგის განცხადება, სკოპინგის ანგარიში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები, ნებართვები, ლიცენზიები, მათ გასაცემად ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს შექმნილი დოკუმენტები, წარმოდგენილი კვლევები, გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემები გარემოს მდგომარეობის შესახებ, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებული ე.წ. გეოლოგიური ბიულეტენები, სახელმწიფოს ოფიციალური ანგარიშები გარემოს სხვადასხვა კომპონენტის შესახებ, საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში წარდგენილი ეროვნული მოხსენებები, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები/რეზოლუციები გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, ავტორიტეტულ ჟურნალებში გამოქვეყნებული და სხვა მეცნიერული კვლევები
ჩვენებები	მოწმეთა გამოკითხვა	ადგილობრივი მოსახლეობა, სხვადასხვა დარგის ექსპერტები
საექსპერტო მტკიცებულებები	საკითხის ტექნიკური/მეცნიერული ანალიზი	გარემოს სხვადასხვა კომპონენტთან მიმართებით ჩატარებული კვლევები: ჰიდროლოგია, ჰაერის ხარისხი, მომწამვლელი ნივთიერებების ანალიზი და სხვა
ვიზუალური მტკიცებულებები	ფოტო და ვიდეო მასალა	დაბინძურების, დაზიანების, ნორმათა დარღვევის ამსახველი მასალა
GIS მონაცემები - გეოინფორმაციული სისტემა, რომელიც სხვადასხვა სახის პერიოდული სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, შენახვის, ანალიზისა და გრაფიკული ვიზუალიზაციის საშუალებას იძლევა კვლევის ობიექტის გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით	სატელიტური, ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია	მონაცემები, რომლებიც აჩვენებს, როგორ იცვლება კონკრეტულ ადგილზე ხე-ტყის საფარი, იზრდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების არეალი და სხვა

სახე	მტკიცებულება	მაგალითი
ფიზიკური მტკიცებულებები	ნიმუშები	მიწის, წყლის, მკვდარი ცხოველის, დაზიანებული მცენარის ნიმუშები და სხვა
სტატისტიკური მტკიცებულებები	რაოდენობრივი მონაცემები	მონიტორინგის სადგურებიდან, წერტილებიდან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გარემოს სტატისტიკის პორტალიდან, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალიდან, საერთაშორისო ორგანიზაციების პლატფორმებიდან მიღებული ინფორმაცია ჰაერში, წყალში, ნიადაგში ემისიების - გაფრქვევების რაოდენობის, ბიომრავალფეროვნების სახეობების შესახებ და სხვა
კონტექსტური მტკიცებულებები	არაპირდაპირი, მაგრამ დამხმარე მტკიცებულებები	სამედიცინო დასკვნები, კვლევები - დაავადებათა რიცხვის ზრდა, რომელიც პირდაპირ არ მტკიცდება, რომ კონკრეტული ქმედების შედეგია, მაგრამ სხვა გარემოებებთან ერთად შესაძლოა მიანიშნებდეს ქმედების დამაზიანებელ ხასიათზე

პუბლიკაცია შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა, არ ასახავდეს UNDP-სა და გერმანიის მთავრობის თვალსაზრისს.

